„ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში ყველა განზომილებით“

გიორგი კეკელიძე ოზურგეთში

„არ ვარ ურა-პატრიოტიზმის მიმდევარი, მაგრამ ვაღიარებ, რომ ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში ყველა განზომილებით“, – განაცხადა გასულ პარასკევს, 13 თებერვალს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ (აპკ) ოფისში საზოგადოებასთან შეხვედრისას გასული წლის ბესტსელერის ავტორმა, აპკ-ს აღზრდილმა, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა, მწერალმა გიორგი გირკელიძემ.

ახალგაზრდა მწერალმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ქართული ენის უნიკალურობაზე, ამასთან, დამსწრე საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას სხვა ენების ცოდნის აუცილებლობასა და დადებით მხარეებზეც მიანიშნა:

„ მშობლიური ენა მშობლიურ ფესვებზე დგას. საამაყოა, რომ ვლაპარაკობთ მართლაც უნიკალურ ენაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ განსხვავებული, ანუ სხვა ენები არის ცუდი“, – აღნიშნა კეკელიძემ.

პოეტმა ამომწურავად უპასუხა დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს. თქვა, რომ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში უფრო გადამწყვეტი დიდაქტიკაა და არა ლიტერატურა. ისაუბრა ყველა დროის აქტუალურ, კაი ყმისა და კარგი მოქალაქის თემაზე. პოეტის გაგებით, კაი ყმა, ანუ კარგი მოქალაქე არის ის, ადამიანი, ვინც ემორჩილება ყველა მოცემულ კანონს.

დღევანდელობის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ქართველმა მწერალმა საინტერესო დებატები გამართა ახალგაზრდებთან რელიგიურ თემაზე და რელიგიის როლზე ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. მისი თქმით, დღეს ნებისმიერ რელიგიას ამ საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, მაგრამ ქრისტიანობა ოდითგანვე დიდ როლს ასრულებდა, თუ ლიტერატურულ წყაროებს გადავხედავთ, „ადამიანის პიროვნებად ქცევაზე ქრისტიანობამდე არ ლაპარაკობდნენ“.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, მაღაზია „ბიბლუსში“ მკითხველებს შესაძლებლობა მიეცათ, ახალშეძენილი „გურული დღიურები“ პოეტის ავტოგრაფებით დაემშვენებინათ.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №7 (10097), 16 თებერვალი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ყოფილი აბანოების ტერიტორიაზე ახალი არქეოლოგიური მასალები აღმოაჩინეს

ალიონი. გასულ კვირაში ქალაქ ოზურგეთის არქეოლოგიურ ექსპონატებს რამდენიმე ახალი და ჯერჯერობით შეუსწავლელი ექსპონატი შეემატა.

ყოფილი აბანოების ტერიტორიაზე, ქალაქის წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას, მინის, კირქვისა და ფაიფურის ნამსხვრევები აღმოაჩინეს.

თბილისიდან ოპერატიულად ჩამოვიდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გურიაში ძირითადი არქეოლოგიური ექსპედიციების ერთ–ერთი ხელმძღვანელი მერაბ ძნელაძე;

უახლოეს დღეებში ექსპერტები შეისწავლიან ამ ექსპონატებს, მოამზადებენ მეცნიერულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს“, – თქვა \ალიონთან“ საუბარში მერაბ ძნელაძემ.

აღმოჩენილი ნაშთები ამჟამად საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ქვემდებარე ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმშია გადატანილი.

ტერიტორია და აღმოჩენილი ნაშთები, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ექსპერტთა ჯგუფთან ერთად, მოინახულა ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ.

გადაწყდა, რომ მოხდება ყოფილი აბანოების ტერიტორიის კონსერვაცია და აღნიშნულ პროცესებში აქტიურად ჩაერთვება ქალაქის მერია.

არჩილ თალაკვაძე: სიმთვრალის ტესტის გადამოწმება ბათუმის გარეშეც შეიძლება. შესაძლებელია მისი დალუქვა და ნებისმიერ ლიცენზირებულ კლინიკაში გადამოწმება. მათ შორის ოზურგეთშიც

მინისტრის მოადგილის ამ პასუხმა მეორე კითხვა გააჩინა, რატომ არ იცოდა საზოგადოებამ ეს ინფორმაცია და თავად პატრული რატომ არ აცნობდა მას უკმაყოფილო მძღოლებს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებითა და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების მხარდაჭერით, კამპანიის „უსაფრთხო ქალაქი“ ფარგლებში შეხვედრა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში 13 თებერვალს გაიმართა. შეხვედრა მშობლიურ ქალაქში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ გახსნა, სტუმრები წარადგინა და სამინისტროს მიერ ორი წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობებზე ისაუბრა და პასუხი გასცა დასმულ შეკითხვებს. თავდაპირველად ყურადღება გაამახვილა ძალოვან სამინისტროში მიმდინარე დეპოლიტიზაციაზე.

–„ სიმბოლურია, როცა ერთ დროს მე ვიჯექი თქვენს ადგილზე და კითხვებს ვუსვამდი ხელისუფლებას. დღეს მე უნდა გავცე პასუხი საზოგადოებაში არსებულ კითხვებს, მათ შორის იმ კითხვებსაც, რასაც ვაკრიტიკებდი.

ორი წლის განმავლობაში სამინისტრომ მიაღწია დეპოლიტიზაციის გარკვეულ დონეს. მიმდინარეობს მუშაობა, რომ ძალოვნები არა მხოლოდ დევნის, არამედ პრევენციის ფუნქციების გამტარებლებადაც მოიაზრებოდნენ. რაც შეეხება სამინისტროს დახურულობას, ვერ დავეთანხმები, მარტო გასულ წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის 1596 მოთხოვნა შემოვიდა. მათგან 1407-ზე ამომწურავი პასუხი გაიცა. დანარჩენი პერსონალურ მონაცემებს შეეხებოდა.“

გამომსვლელი პერსონალური მონაცემების სკანდალსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ასეთი ინფორმაციები არა მხოლოდ კანონიერი, არამედ უკანონო მეთოდებითაც გროვდებოდა, რის გამოც ხდებოდა ადამიანთა დაშინებები. ისაუბრა ნარკოპრობლემებზე, რომ ამჟამინდელი მიდგომა ძალოვანი სტრუქტურებისა ამ პრობლემის მიმართ, განსხვავდება წინა ხელისუფლების მიდგომებისაგან:

–„ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა 20 წლის განმავლობაში არ შეცვლილა. ნარკომანიის წინააღმდეგ მიმდინარეობდა ბრძოლა მხოლოდ რეპრესიებით. ადამიანებმა დაიჯერეს, რომ ნარკომანს კურნავს ციხე და ისინი

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

URIკის მუშამ მსუბუქი ტრავმა მიიღო

ალიონი: 13 თებერვალს, შუადღისას ტელეფონით შეგვატყობინეს, რომ ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩის დასაწყისში, „მოდერნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომანქანამ გაიტანა „მეტაჭკე“, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

საბედნიეროდ, ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. შემთხვევის ადგილზე მისულებს გვითხრეს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევას მართლაც ჰქონდა ადგილი, ავტომანქანამ გვერდი გაჰკრა სავალ ნაწილზე გადასულ URIკის მუშას, რომელმაც მსუბუქი ტრავმა მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, ფაქტი მაინც საგანგაშოა, რადგან თაყაიშვილის ქუჩის ამ მონაკვეთზე ისეთი ინტენსიური მოძრაობა და იმდენი დარღვევაა, რომ, როგორც მომხდარის, ისე ტელეფონით შეტყობინებულის მსგავსი შემთხვევა ყოველ წუთს არის მოსალოდნელი.

ოზურგეთის ერთ-ერთ სოფელში ორი გეი ერთად ცხოვრობს

ალიონი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ცნობილ სოფელში ორი გეი ერთად ცხოვრობს. ისინი უკვე არაოფიციალურად დაქორწინებულები არიან.

ამის შესახებ რედაქციას სწორედ იმ სოფლიდან აცნობეს.

როგორც წყარო იუწყება, „დაქორწინებულთაგან“ ერთი ადგილობრივია, მეორე თბილისელი. ადგილობრივი ცოლიანია, უფრო სწორად ცოლიანი იყო და ქალი სახლიდან მას შემდეგ წავიდა, როცა ქმარს თავის „ახალ რჩეულთან“ საწოლში შეუსწრო.

წყვილი ოზურგეთის ერთ-ერთ რესტორანში მუშაობდა მიმტანებად. რესტორნის დირექტორი კი ამ წყვილიდან ერთ-ერთის ნათლიაა.

წყარო წყვილის ვიზუალურ მხარეზეც ამახვილებს ყურადღებას, ამბობს, რომ ოზურგეთელი შავგრეგანია, თბილისელი კი – ქერა და მათ ერთად ხშირად ხედავენ ოზურგეთის ქუჩებში.

კომისიამ ა.(ა)ი.პ.-ების ხელმძღვანელებს მოუსმინა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, „განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა“ კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა. კომისიის წევრებმა ა(ა)ი.პ -ების: „სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების“ და „მომავლის სხივის“ ხელმძღვანელებს მოუსმინეს. ასევე გამგეობის კულტურის, სპორტის და ტურიზმის განვითარების სამსახურის, ტურიზმის განყოფილების თანამშრომელმა ირაკლი წულაძემ კომისიას არასამთავრობო ორგანიზაციის „ტურიზმი და რეალობა“ -ს მიერ წარმოდგენილი პროექტის დეტალები გააცნო, რომელიც ჩვენს რაიონში ტურისტული პოტენციალის კვლევასა და მონაცემთა ბაზის შექმნას გულისხმობს. პროექტის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციისა და გამგეობის შესაბამისი სამსახურის ინიციატივით, როგორც გიდების მოსამზადებელი, აგრეთვე ზოგადად ტურისტულ ბიზნესთან დაკავშირებული ტრენინგები ჩატარდება.

ა(ა)ი.პ „ მომავლის სხივი“-ს მუშაობის დეტალებზე ისაუბრა ამავე ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ხათუნა ცერცვაძემ, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 6-დან 18 წლამდე სოციალურად დაუცველი ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციას უწყობს ხელს.

კომისიის წევრებმა ა(ა)ი.პ „სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების“ ხელმძღვანელის რუსუდან მემარნიშვილისგან, მუნიციპალიტეტში არსებულ 3 მუზეუმსა და 10 ბიბლიოთეკაში, 2015 წელს განსახორციელებელ გეგმებზე მოსაზრებები მოისმინეს. კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას განმარტებით კი აუცილებელია საჯარო სკოლები აქტიურად იყოს ჩართული მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში დაგეგმილ აქტივობებში, რადგან სწორედ ასეთი ტიპის ღონისძიებები შეუწყობს ხელს ახალგაზრდების განათლების დონის ამაღლებას.

სტუმრად სოფელ ლიხაურის საბავშვო ბაღში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლელა საჯაიამ, ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე გოჩა კილაძესა და გამგეობის განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროს მაიზერ ცელაძესთან ერთად, სოფელ ლიხაურის საბავშვო ბაღი მოინახულა და ადგილზე საალმზრდელო პროცესს გაეცნო.

საბავშვო ბაღი, რომელშიც 95 სკოლამდელი აღსაზრდელით დაკომპლექტებულია 3 საალმზრდელო ჯგუფი, აღჭურვილია ცენტრალური გათბობით. ბაღში ფუნქციონირებს ექთნის კაბინეტი, კეთილმოწყობილია სამყოფი ოთახები და მოწესრიგებულია სველი წერტილები.

კომისიის თავმჯდომარე ლელა საჯაიამ მადლობა გადაუხადა აღმზრდელებსა და თანამშრომლებს დატვირთულ რეჟიმში საქმიანობისათვის და აღნიშნა :

– „ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განათლება, კონკრეტულად სკოლამდელი აღზრდა პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა, საბავშვო ბაღები გახდა უფასო. 2015 წლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყველაზე დიდი თანხით 1 420 000 ლარით დაფინანსდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კვების ხარისხი, კეთილმოეწყო ინფრასტრუქტურა, შეძენილ იქნა ინვენტარი. ვიმედოვნებ, მთავრობის მიერ შემუშავებული „სკოლამდელი აღზრდის კანონის“ მიღების შემდეგ, მოხდება აღმზრდელების კვალიფიკაციის და შრომის ანაზღაურების ზრდა, ბაღების მეთოდური და საგანმანათლებლო ლიტერატურით უზრუნველყოფა, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს სკოლამდელი განათლების დონის ამაღლებას“.

ირაკლი ალასანია ოზურგეთში პარტიულ აქტივს შეხვდა

ალიონი: გასულ შაბათს, საქართველოს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია გურიაში იმყოფებოდა. იგი ქ. ლანჩხუთში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა, ხოლო შემდეგ ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში რეგიონის პარტიულ აქტივთან გამართა შეხვედრა.

– შეხვედრაზე მიმდინარე პროცესებზე, პარტიის მშენებლობის განვითარებაზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე იყო საუბარი.

ოზურგეთის სასპორტო სკოლის პირველობაზე

გაიმართა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1998-2000 წ.წ. დაბადებულთა შორის.

ჩემპიონები გახდნენ: 46 კგ – ნიკა აბულაძე; 50 კგ – გიორგი ჩხაიძე; 54 კგ – ტრისტან ქინქლაძე; 58 კგ – გიგა დიასამიძე; 63 კგ –დავით ბაკურაძე; 69 კგ – გია გიორგაძე; 76 კგ – გიორგი ურუშაძე; 85 კგ – მამუკა ესაძე; 100 კგ – ედუარდ ღლონტი.

დაკომპლექტდა სკოლის ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ქ. თბილისში, ვ. მაისურაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ ტურნირში.

სოფელ ცხემლისხიდში ნაპირსამაგრი სამუშაოები დაიწყო.

გასული წლის 24-29 სექტემბერს ოზურგეთში მომხდარი სტიქიის დროს ადიდებული მდინარე ნატანები კალაპოტიდან გადმოვიდა. მოიშალა ცხემლისხიდი-ბაღდადთან დამაკავშირებელი ხიდის სათავე, განსაკუთრებული პრობლემები შეექმნა მდინარის პირას მცხოვრებ მოსახლეობას, დაიტბორა საცხოვრებელი სახლის პირველი სართულები და დაზიანდა საკარმიდამო ნაკვეთები.

ნაპირსამაგრი სამუშაოები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მერაბ ჭანუყვაძემ და გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბადრი გობრონიძემ დაათვალიერეს.

ამ ეტაპზე, ცხემლისხიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ნატანების კალაპოტის გასწორხაზოვნებისა და გაბიონების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. მობილიზებულია 4 ერთეული მძიმე ტექნიკა, კამაცუს მარკის ბულდოზერები და ექსკავატორი.

აღდგენით სამუშაოებს, რომლის ღირებულება 650 ათასი ლარს შეადგენს, შპს „NDS მშენებლობა“ 3 თვის ვადაში დაასრულებს.

მდინარის გასწორხაზოვნების დასრულების შემდეგ ცხემლისხიდში სტიქიის დროს დაზიანებული ხიდის რეაბილიტაცია დაიწყება.

არჩილ თალაკვაძე: სიმთვრალის ტესტის გადამოწმება ბათუმის გარეშეც შეიძლება. შესაძლებელია მისი დალუქვა და ნებისმიერ ლიცენზირებულ კლინიკაში გადამოწმება. მათ შორის ოზურგეთშიც“

გაუშვეს ციხეში. მერე ადამიანები დაავალეს, რომ ნარკომანია შემცირდა. შედეგად მივიღეთ ის, რომ ათასობით ადამიანი გახდა დამოკიდებული სინთეზურ ნარკოტიკებსა და სხვა პრეპარატებზე და თითქმის ყოველი მეორე პატიმარიც ჰეპატიტით დაავადდა. ციხეებში მოხდა გადამალვა ნარკოპრობლემებისა.

ამჟამინდელი მიდგომით, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა 4 პრინციპს შეიცავს. ეს არის სამართლებრივი დევნა, ჩანაცვლებითი მკურნალობა, რეაბილიტაცია, პრევენცია.

ადრე სახელმწიფო ვკარიმებისა და გირაოს სახით 35 მილიონ ლარს ართმევდა ნარკომომხმარებელს და გამსალებელს. 1,2 მილიონ ლარს ახმარდა რეაბილიტაციას. ჩვენ ამჟამად ძირითად კონცენტრაციას ვაკეთებთ მიწოდების შეზღუდვაზე.“

ძალოვან სისტემაში არსებული ამჟამინდელი პრობლემები მინისტრის მოადგილემ ასე შეაფასა:

— „ბევრი მითქმა-მოთქმაა საკადრო პოლიტიკასა და კორუფციაზე. ამ მიმართებით კვლავ დიდი მუშაობაა საჭირო. კორუფცია ნებისმიერ ქვეყანაშია, ჩვენ უნდა შევძლოთ და ვაკონტროლოთ რისკები. ძალოვან სისტემაში მომუშავე ადამიანები წლების განმავლობაში მიჩვეულნი იყვნენ ძალადობრივ ურთიერთობებს და ძნელია ერთობლივად ყველაფრის გამოსწორება. “

„გაზეთ „ალიონის“ კითხვას ძალოვანი სტრუქტურებიდან ინფორმაციის მიწოდების სიხშირეებზე, მინისტრის მოადგილის პასუხით, ის ყველა მომართვას თავად გააკონტროლებს.

თამაზ ტრაპაიძემ (საია-ს ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი) აღნიშნა, რომ ადამიანებს პრობლემა ექმნებათ ვკარიმებთან დაკავშირებით. მცდელობის მიუხედავად, ვერ ახერხებენ ვკარიმების გადახდას. მეტიც, გადახდის მიუხედავად, ვკარიმა გადახდილად არ დაფიქსირდა, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეს აქვს გადახდის ქვითარი და მას ჩამოერთვა მართვის მოწმობა. მინდია სალუქვაძემ (ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის თავმჯდომარე) სიმთვრალის ტესტის ბათუმში გადამოწმების სიხშირეებზე გაამახვილა ყურადღება. ქეთევან ხიდაშელმა ოჯახში ძალადობის პრობლემებზე ძალოვანთა დამოკიდებულების შესახებ დასვა კითხვა. ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ხელმძღვანელმა თამარ ხომერიკმა ცენტრის სერვისები გააცნო სტუმრებს.

არჩილ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ვკარიმების საკითხს აუცილებლად შეისწავლიან. რაც შეეხება სიმთვრალის ტესტის ბათუმში გადამოწმებას, ისაუბრა იმ სიახლეზე, რის შესახებაც ინფორმაცია საზოგადოებისთვის რატომღაც ცნობილი არ იყო.

— „ამ ტესტის გადამოწმება ბათუმის გარეშეც შეიძლება. შესაძლებელია მისი დალუქვა და ნებისმიერ ლიცენზირებულ კლინიკაში გადამოწმება. მათ შორის

ოზურგეთშიც.“

ამ პასუხმა მეორე კითხვა გააჩინა, რატომ არ იცოდა საზოგადოებამ ეს ინფორმაცია და თავად პატრული რატომ არ აცნობდა მას უკმაყოფილო მძღოლებს.

„ალიონის“ მეორე კითხვაზე, - რა პოზიცია გააჩნია შინაგან საქმეთა სამინისტროს მეტადონის პროგრამაზე? მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ მეტადონის პროგრამა არის ზიანის შემცირების ერთ-ერთი სახე.

— „შედარება არ უნდა მოხდეს მეტადონის მომხმარებელსა და ჯანსაღ ადამიანს შორის. შედარება უნდა მოხდეს მეტადონის მომხმარებელსა და სინთეზური ნარკოტიკის მომხმარებელს შორის. საბედნიეროდ, მეტადონის ავტობუსში ვინც ჩავდა, იქვე დარჩა. ვერ ხერხდება სხვა პროგრამაში მათი ჩართვა. მეტადონის შეწყვეტა არ შეიძლება, თუმცა, არც მარტო მეტადონის იმედად ყოფნაა დასაშვები.

ჩაის დარგში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და მცირე ბიზნესის განვითარების წინადადებები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1990 წლიდან ჩაის დარგში ღრმა კრიზისული მდგომარეობაა, მთლიანად მოშლილია ჩაის დარგის ინფრასტრუქტურა, გარდა 4-5 საწარმოსა განადგურებულია და აღარ არსებობს მანამდე არსებული 150 პირველადი გადამუშავების და რამდენიმე დამფასოებელი ჩაის ფაბრიკა. ჩაის ფართობების დიდი ნაწილი ვერ კიდევ გატყევებული, ეკალ-ბარდით და სარეველებითაა გადაფარული და პრაქტიკულად გამოუყენებელია, პრივატიზებული ჩაის ფართობები კი დანაწევრებული და მიტოვებულია. ამას ემატება ჩაის მცენარის ბიოლოგიური აქტივობის შემცირება, მისი დაკნინება ხანდაზმულობის (80-90წ. ნაცვლად 60-70-ისა) და ამოძირკვისა და ახლის გაშენების აუცილებლობა.

უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ჩაის პლანტაციების აღდგენისა და განახლებისათვის არანაირი ინვესტიცია არ ჩადებულა. მეჩაიეობის რაიონებში ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. ჩაი ერთადერთი კულტურაა, რომელსაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის დასაქმებისა და შემოსავლების მაღალი პოტენციური შესაძლებლობები აქვს, ისევე, როგორც კახეთის მოსახლეობისათვის მევენახეობას და მეღვინეობას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩაის ბუჩქები უდიდეს როლს ასრულებს ნიადაგების ეროზიისაგან დაცვაში. საერთოდ ჩაი კომერციულად მომგებიანი, აგრეთვე როგორც შიგა მოხმარების ისე სარფიანი საექსპორტო პროდუქტია. რეალობაა ისიც, რომ ჩაი ყოველდღიური მოხმარების უნიკალური პროდუქტია. სამწუხაროდ ჩაის ქვეყანაში ჩვენს მოსახლეობას ეკოლოგიურად სუფთა ჩაი ენატრება. ასეთი ჩაის 1კგ-ის ფასი 30 და მეტი ლარია; წლიური მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზე 1500-2000 ტონაა, მაგრამ დეფიციტურია. ჩაიზე მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ ოფიციალური მონაცემებით ჩაის წარმოებას ავითარებენ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ამისათვის მინიმალური ბუნებრივი პირობებია, ჩვენთან კი პირიქითაა. სამაგიეროდ ჩვენი ბაზარი გაჯერებულია უცხოური ფირმების ფალსიფიცირებული, ხელოვნური საღებავებით შეფერილი და ჯანმრთელობისათვის მავნე ჩაის პროდუქციით. ასეთებია აგრეთვე ერთჯერადი მოხმარების „ქართული ბრენდები“. ისიც საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ჩაის როგორც „დღის სუკეთესო სასმელის“ მოხმარება ხელს უშლის ისეთი დაავადებების წარმოშობას, როგორიცაა კიბო, კარდიოლოგიური დაავადებები, კბილებისა და ღრძილების დაავადებები, თირკმლისა და ღვიძლის ფუნქციების მოშლა, ასევე არეგულირებს ქოლესტერინის დონეს და მრავალი სხვა. სწორედ ამიტომ არის ჩაი სიცოცხლის ელექსირი, სწორედ ამით არის განპირობებული მასზე მოთხოვნის ზრდა, რაც ჯამრთელი ცხოვრების წესის აუცილებელი პირობაა. სწორედ ამიტომ ჩაი არის „მსოფლიოს ძვირფასი განძი“ და წლის ყველაზე პოპულარული და საყვარელი სასმელი საზოგადოების ყველა დონეზე და ყველა ასაკში. ჩვენს პირობებში კი მასზე მოთხოვნა მთლიანად დაუკმაყოფილებელია, რაც წინა მთავრობის (მ.საკაშვილი და მისი მმხრეების) დარგისადმი ნეგატიური და არაგონივრული მიდგომის შედეგია; ეს მაშინ, როდესაც ჩაი ჩვენი მოსახლეობის კვების რაციონში ერთერთი აუცილებელი და შეუცვლელი პროდუქტია.

ჩაის ინდუსტრიას სასიცოცხლო მნიშვნელობის წვლილი შეაქვს მწარმოებელი ქვეყნების ეკონომიკაში და მათი რიცხვი არა თუ იკლებს, არამედ მატულობს.

ახლანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენ პირობებში ჩაის დარგის კრიზისიდან გამოყვანის ერთერთ რეალურ ღონისძიებად მიგვაჩნია ჩაის დარგში მცირე ბიზნესის განვითარება და დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის ამ რესურსის ეფექტური და გონივრული გამოყენება. ამ მიზნით ჩვენი წინადადებები შემდეგია: შემოტანილი იქნას ჩინეთიდან (პროვინციები ანხოი, ცზიანსი; იხ. გვ. გ. ხარებავა. ჩაის წარმოება ჩინეთში. ანასული, ბიულეტენი 2, 1957 წელი) მაღალმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი კიმინის სახესხვაობის ჩაის მცენარის (რაც ჩვენ პირობებში 1935 წლიდან ცალკეულ ფართობებზე სამრეწველო მონაცემებით და 90-იან წლებში პირადად ჩემი ექსპერიმენტული კვლევებითაა დადასტურებული) თესლი გარკვეული რაოდენობით, ეტაპობრივად მაგ. 500 ან 1000 კგ ერთ ვერზე და შეღავათიან ფასებში მიეყიდოს გურიის, სამეგრელოს, იმერეთის და აჭარის სოფლების მცხოვრებლებს, რომ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებში გაშენონ მცირე ზომის 200-დან 500- მდე მეტრ კვადრატ ფართობებზე ჩაის მცენარეები შპალერული სახით. ღნიშნული მეთოდი ჯერ კიდევ ადრეულ წლებში-1903-4წწ. გამოყენებული იყო ოზურგეთის ჩაის სანერგეში, საიდანაც ჩაის საქმით დაინტერესებულ ყოველ მოსახლეს უფასოდ ეძლეოდა ნერგები თავის საკარმიდამოში ჩაის პატარა პლანტაციის გასაშენებლად. ასეთი წესით მარტო 1907 წელს გაცემულ იქნა 11960 ძირი ნერგი, მათ შორის 5000 ძირი სამეგრელოს რაიონებში, ხოლო 1907-1915 წლებში 60 ათასი. (იხ. გ. ქარჩავა. საქართველოს ჩაის მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური ბაზრის განვითარება. თბილისი, „მეცნიერება“, 1967წ, გვ.20-22).

აღნიშნული მეთოდი დღესაც გამოყენებულია იაპონიასა და ჩინეთში. მაგ. იაპონიაში თითქმის ყველა სოფლად მაცხოვრებელს თავის ეზოში აქვს რამდენიმე ბუჩქი ჩაის მცენარე. მიღებული ნედლეულის 2-3-4 და მეტ კგ-ს ტოვებს 0,8-1,0 მ სიგრძის ავტომატური მოწყობილობის ბუნკერში, (ისევე როგორც ამჟამად გორენიეს ფირმის ავტომატურ რეჟიმში მომუშავე საოჯახო სარეცხი მანქანა, ან მაგალითად ჰურის საცხობი საოჯახო აპარატი) რომელიც უდგას სამზარეულოში. საღამოს, როცა სამუშაოდან ბრუნდება, დახვდება მაღალი ხარისხის გამშრალი ჩაი, რომელსაც პირადად მოიხმარს, ხოლო ნამეტს ყიდის (აბარებს).

ჩვენ პირობებში სასურველია აგრეთვე ზონების მიხედვით მოეწყოს მცირე ზომის ჩაის სანერგეები, სადაც გამოყენებული იქნება სელექციური ვიშის „კოლხიდა“-ს ნერგები და შემდეგ შეღავათიან ფასებში მიეყიდება მაცხოვრებლებს. წინასწარი მონაცემებით მოსახლეობის დიდი ნაწილი სრულ მზარდაჭერას აცხადებს ამ მეთოდის გამოყენებისადმი მითუმეტეს ახლა, როცა რაიონებსა და სოფლებში თვითმართველობის ორგანოები ჩამოყალიბდა, რაც ჯანსაღ პირობებს ქმნის ამ საქმის პრაქტიკული განხორციელებისათვის. ნედლეულის გადასამუშავებლად კი გამოყენებული იქნება მინი მოწყობილობები (ძირითადად საგრეხი, საშრობი და მომხალავი).

საკარმიდამო ნაკვეთებში ჩაის გაშენების შემოთავაზებული სქემა მთლიანად პასუხობს ახლანდელ მდგომარეობას სუბტროპიკულ ზონაში, სადაც ჩაის გასაშენებლად დიდ ფართობებზე საჭიროა არსებულის ამოძირკვა, სარეველებისაგან გაწმენდა რამდენიმე წელი, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, შეღობვა და ა.შ., რაც კოლოსალურ თანხებს მოითხოვს, მით უმეტეს ჩაის ფართობების დიდი ნაწილი განლაგებულია ფერდობებზე მცირე კონტურიანი ნაკვეთების სახით.

ამ საქმეში უდიდესი გამოცდილება გააჩნია ჩინეთსა და იაპონიას, განსაკუთრებით ჩინეთს. არსებული მონაცემებით, ჩინეთში დიდი რაოდენობითაა მცირე საწარმოები, რომლებიც ეკუთვნის გლეხთა კოოპერატივებს. ამ საწარმოებში გამოყენებულია მცირე გაბარიტული ზომების და წარმადობის ე.წ. მინი მოწყობილობები, მაგალითად საღონი, საგრეხი, მომხალავი, საშრობი. ასეთი მოწყობილობების შესყიდვა ჩინეთში უფრო მისაღებია ვიდრე, ადგილზე დამზადება, რადგანაც ახლანდელ პირობებში ადგილზე დამზადებულის ხარისხი, მუშაუნარიანობა და ექსპლუატაციის ვადა ბევრად უფრო ნაკლებია. ამ საქმეში დაინტერესებულ მხარეს ყველაზე კარგ დახმარებას გაუწევს ჩინეთის ელჩი საქართველოში, მასვე შეუძლია ჩის თესლზე დახმარება და ა.შ. თუ შეძენილი იქნა მინი მოწყობილობები (საგრეხი, საშრობი) ყოველ ორ ან მეტ მეზობელ სოფელში მათი გამოყენებით შეიძლება მოეწყოს ერთი კერძო გადასამუშავებელი საწარმო, სადაც თითოეულ მაცხოვრებელს საშუალება ექნება მიიტანოს ჩაის ნედლეული (მაგ. 10 კგ, საიდანაც მშრალი ჩაის გამოსავალი იქნება 10:4=2,5 კგ.). გადამუშავების ხარჯებს იგი გადაიხდის დადგენილი ტარიფით (ამის დადგენა ადვილია) ან ნატურით მაგ. 0,5 კგ. მშრალ ჩაის, როგორც ეს ჩინეთშია მიღებული (ან ჩვენთან წისქილში). თავისთავად ეს მიმართულება გარკვეულ სტიმულს მისცემს გლეხს (ფერმერს), აგრეთვე მეწარმეს თანდათან განავითაროს მეჩაიეობა და ჩაის წარმოება, რაც შიდა ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების ძლიან კარგი საშუალებაა სხვა სიკეთესთან ერთად. დასაქმების კუთხით კი საკმარისია აღინიშნოს, რომ ამჟამად მარტო გურიის რეგიონიდან მეზობელ თურქეთში ყოველწლიურად გადასულია 12 000 შრომისუნარიანი კაცი და ქალი. ასევე უნდა აღინიშნოს რომ, ჩვენ პირობებში ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ახალი, კარადული ტიპის მინი საღრობი მოწყობილობის ტექნიკური გადაწყვეტა, რომელშიც გამოყენებულია შრობის ახალი პრინციპი, რაც საშუალებას იძლევა ცხელი ჰაერის თბური ენერგია მახ ეფექტით იქნას გამოყენებული.

ახლანდელი ეკონომიკური სუდუხჭირის პირობებში ჩაის დარგში მცირე ბიზნესის განვითარების შემოთავაზებული სქემა ხელს შეუწყობს სასურსათო პროდუქციის წარმოების გაზრდას და მოსახლეობისათვის ჩაიზე დეფიციტის აღმოფხვრას, აგრეთვე ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მომავალში კი ჩის საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაზრდას.

ინგუშ ჭოლაძე
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ატესტირებული უფროსი მეცნიერ მუშაკი,
ღირსების ორდენის კავალერი,
სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ლაურეატი,

გამომგონებელი, პენსიონერი.

თოჯინების თეატრის საიუბილეო წლის გეგმები

ქ. ოზურგეთის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა თეატრმა მეოცე საიუბილეო წლის პირველი პრემიერა შესთავაზა მაყურებელს. ს. ჭეიშვილის პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი: ,,დაიყივლე მამალო.“სპექტაკლის შემდეგ ინტერვიუ ვთხოვეთ თოჯინების თეატრის დირექტორს **ლაშა კუტალაძეს.**

—როგორც თქვენი თეატრის აფიშა გვამცნობს, 2015 წელი საიუბილეოა თოჯინების თეატრისათვის. როგორ მოხვედით დღემდე?

—სანამ კითხვაზე პასუხს გაგაცემდეთ, პირველ რიგში მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს ერთგულ მაყურებელს, რომელიც ჩვენი თეატრის ყველა სპექტაკლს ესწრება. მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება. ჩვენი თეატრის თითოეული წევრი ბედნიერია, როცა კვირა დღეს გადაჭედილ დარბაზში უწევს სპექტაკლების თამაში. უკვე რვა წელია ყველა კვირა დღეს ბავშვებისთვის უფასოდ ვმართავთ სპექტაკლებს.

ახლა რაც შეეხება თქვენი კითხვის პასუხს. თოჯინების თეატრი მსახიობ ოთარ კუტალაძის ინიციატივით 1979 წელს შეიქმნა ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკში. სპექტაკლებში დაკავებულნი იყვნენ, როგორც დრამატული თეატრის მსახიობები, ისე მოყვარული ახალგაზრდები. ამ ფორმით თეატრმა 1989 წლამდე იარსება და შემდეგ მატერიალურ-ტექნიკური პირობების გამო მუშაობა შეწყვიტა, რამაც ოზურგეთელთა უკმაყოფილება გამოიწვია.

1995 წლის 1 სექტემბერს ადგილობრივი გამგეობის გადაწყვეტილებით, დაფუძნდა ოზურგეთის თოჯინების თეატრი 20 საშტატო ერთეულით. ამ საშვილიშვილო საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით: გურიის მხარის მაშინდელ გუბერნატორს მიხეილ ჭკუასელს, რაიონის გამგებელს ვლადიმერ კუნჭულიას, გამგებლის მოადგილე ენვერ გოგუაძეს, კულტურის განყოფილების გამგე ლანერი გაგუას. ოზურგეთის თეატრის მაშინდელმა დირექტორმა და მთავარმა რეჟისორმა ვასილ ჩიგოგიძემ თოჯინების თატრს მცირე სცენა და დარბაზი დაუთმო.

—რა მდგომარეობაა ამჟამად, როგორია მიმდინარე წლის გეგმები?

— თოჯინების თეატრი უკვე 20 წელია აქ მართავს სპექტაკლებს. ამჟამად თეტრის სცენა და დარბაზი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ბატონ ვასილ ჩიგოგიძის ინიციატივით და ბატონ ბეგი სიორიძის მხარდაჭერით იმედი გვაქვს, რომ თეატრის სცენა და დარბაზის რეკონსტრუქცია დადებითად გადაწყდება.

მომზადებული გვაქვს თოჯინების თეატრის 35-წლიანი მოღვაწეობის მასალები საიუბილეო წიგნის გამოსაცემად, რომელზეც ჟურნალისტები ეთერ ქადეიშვილი და ქეთევან კუკულავა მუშაობენ.

—როგორია მიმდინარე წლის პროგრამა?

—მომავალ თვეში დავიწყებთ მუშაობას ახალ თოჯინურ სპექტაკლზე ,,ურჩი ბაჭია.“ სცენარი დასრულების სტადიაშია და ივნისში დავიწყებთ მუშაობას საიუბილეო საღამოს ღონისძიება —,,სპექტაკალზე.“ საიუბილეო საღამო ოქტომბერში გაიმართება. ნოემბერში კი დავიწყებთ მუშაობას საახალწლო ,,შოუ-პროგრამაზე,“ რომელსაც 2016 წლის 2 იანვრიდან 7 იანვრის ჩათვლით ვაჩვენებთ მაყურებელს. მთელი წლის განმავლობაში გავმართავთ სპექტაკლებს საჯარო სკოლებში და ბაღებში.ასევე ტრადიციულად საქველმოქმედოთ გავმართავთ წარმოდგენებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის.

თოჯინების თეატრში მამალმა დაიყივლა

ალიონი: ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა პროფესიულ თეატრში 12 თებერვალს მამალმა დაიყივლა - თეატრმა ნორჩ მაყურებელს წარუდგინა ს. ჭეიშვილის ,,დაიყივლე მამალო“, რომლის ინსცენირება და სცენოგრაფია: რეჟისორ ო. კუტალაძეს ეკუთვნის.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო გურამ კეკელიძისა და ნიკოლოზ ხარხელიშვილის მამალი, მარი ქილიფთარი თხა, ანა თავაძის ნაცარა და კატა, ნინო გაგუას მეია და კურდღელი, რუსუდან ბუღათრიშვილის იხვი, ამირან მგელაძის ძაღლი.

სპექტაკლის რეჟისორია ოთარ კუტალაძე, მხატვარი - ნინო კეჭაყმაძე ქორეოგრაფი - ლია მარტიაშვილი, მუსიკის ავტორები - გოგა მახარაძე და დავით მეგრელაძე.

,,დაიყივლე მამალოს“ გარდა, თეატრის რეპერტუარში 2015 წლისათვის 14 სპექტაკლი არის შეტანილი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალი გერბი იქმნება

ალიონი. 10 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუნიციპალიტეტის სიმბოლოების —გერბისა და დროშის შესაქმნელად სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა გაიმართა, რომელსაც კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვეღელიძე უძღვებოდა.

— მინდა გითხრათ, რომ სიმბოლოების შემუშავება საპასუხისმგებლო და შრომატევადი საქმეა. ამიტომ ვფიქრობთ გერბისა და დროშის სასურველი ნიმუშის შესაქმნელად მონაწილეთა არეალი გავზარდოთ და საქართველოს ყველა რეგიონიდან შეეძლოთ მსურველებს მასში მონაწილეობა. ჩვენ კომისიის შემადგენლობას გავზრდით, მოვიწვევთ სპეციალისტებს და ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებით გამოვავლენთ გამარჯვებულს, რომელსაც ჯილდოდ 3 000 ლარი გადაეცემა.—განაცხადა დიმიტრი კვერღელიძემ.

ცნობისთვის: კონკურში ნამუშევრების წარდგენის საბოლოო ვადა 2015 წლის 20 აპრილია, ხოლო გამარჯვებული აპრილის ბოლოს გამოცხადდება.



http://www.interpress-news.ge/photo/2015_02/01TEB-2015/gurias.jpg - www.ozurgeti.org.ge ozurgeti.sakrebulo@gmail.com

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აცხადებს კონკურსს სიმბოლოების - გერბისა და დროშის შექმნის მიზნით

1. კონკურსის საფუძველი.

1.1 კონკურსის საფუძველია ,,საქართველოს ორგანული კანონი“-ს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-8 მუხლი და საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოდან მ/წლის 23 იანვრის შემოსული 8/01.07 წერილი.

2. კონკურსის მიზანი.

2.1 კონკურსის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის: გერბისა და დროშის საუკეთესო პროექტის შერჩევა.

3. ზოგადი კრიტერიუმები.

3.1 კონკურსს ატარებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3.2 კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ყველა მოქალაქეს, გარდა საკონკურსო კომისიის წევრებისა.

3.3 კონკურსი ტარდება ერთჯერადად, სამუშაო ენა ქართული.

3.4 კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება არანაკლებ სამი ავტორის მონაწილების შემთხვევში. თითოეული ავტორის მიერ წარმოდგენილი პროექტების რაოდენობა შეზღუდული არაა.

3.5 გერბისა და დროშის პროექტები შექმნილი უნდა იყოს ჰერალდიკის კანონების გათვალისწინებით და შეძლებისდაგვარად ითვალისწინებდეს შემდეგ პრინციპებს:

ა) ჰერალდიკური მემკვიდრეობა;

ბ) ტერიტორიის ისტორიული მემკვიდრეობა;

გ) ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა;

დ) ადმინისტრაციული ერთეულის მახასიათებელი ისტორიული, ეთნოგრაფიული ან მითოლოგიური ნიშანი.

3.6 კონკუსთან დაკავშირებულ ყველა დამატებით საკითხზე ცნობას და განმარტებას იძლევა კონკურსის ორგანიზატორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფი.

4. კონკურსის პირობები

4.1 გერბისა და დროშის პროექტების შესრულება დასაშვებია ნებისმიერი სახვითი საშუალებით და კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით.

4.2 საკონკურსო პროექტის კონკურსანტი წარმოადგენს კონვერტით, რომელსაც უნდა ეწეროს კომისიის დასახელება და მისამართი.

4.3 კონვერტში მოთავსებული თითოეული პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს 14 ზომის ფორმატზე ზედა მარჯვენა კუთხეში ავტორის დევიზი (კოდის) მითითებით და უნდა ერთვოდეს მოკლე შინაარსობრივი აღწერა - დასაბუთება.

4.4 საკონკურსო მასალებს კონკურსანტი წარმოადგენს კონვერტით. წარმოდგენილ კონვერტში უნდა იყოს მოთავსებული მცირე ზომის კონვერტი, რომელზეც ზემოდან აღნიშნული იქნება ავტორის დევიზი (კოდი), მასში უნდა მოთავსდეს ავტორის მიერ შესრულებული გერბისა და დროშის ნიმუშები, (სასურველია ავტორმა წარმოადგინოს ნამუშევრების მოკლე ახსნა-განმარტება) და ავტორის პირველი საკონტაქტო ინფორმაცია.

4.5 კონკურში მონაწილეობა დასტურდება კომისიის მიერ გერბისა და დროშის დალუქული კონვერტის მიღებით, რაც იმავდროულად ნიშნავს კონკურსის ზემოთ ჩამოთვლილი პირობების მიღებას კონკურსში მონაწილის მიერ.

5. დამატებითი მოთხოვნები.

5.1 გერბი გამოსახული უნდა იყოს ჰერალდიკურ (ფრანგულ) ფარზე;

5.2 გერბის ფარის ზემოდან მოთავსებული უნდა იყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამომსახველი ვერცხლის სამ კოშკიანი, ქონგურებიანი გვირგვინი.

5.3 დევიზის ბაფთაზე გამოსახული უნდა იყოს წარწერა ,,ოზურგეთი''.

6. კონკურსის ჩატარების ვადები.

6.1 კონკურსი გამოცხადდება 2015 წლის 10 თებერვლიდან.

6.2 კონკურსის ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადაა 2015 წლის 20 აპრილი.

6.3 შედეგების გამოცხადება 2015 წლის 30 აპრილი.

7. გამარჯვებული პროექტისთვის დაწესებული კონკურსის პრემიები.

7.1 კონკურსში გამარჯვებულისათვის დაწესებულია ჰონორარი 3000 ლარი.

8. კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები.

8.1 გამარჯვებული პროექტი გადადის კონკურსის ორგანიზატორების საკუთრებაში საავტორო უფლების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ხოლო ყველა სხვა პროექტი მოთხოვნისთანავე უბრუნდება ავტორს.

8.2 კონკურსის შედეგები გამოცხადდება საინფორმაციო საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი; მის: ქ.ოზურგეთი. კოსტავას ქ. 1;

საკონტაქტო ტელ: 599 98 39 00
ელ.ფოსტა: ozurgeTi.sakrebulo@gmail.com. www.ozurgeti.org.ge
fb page: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

თვითმართველი თემი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	მირ. შენობის ფართი კვმ	„ბე" 10 % (ლარი)	„ბიჯი" 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. მერია	26.05.38.043	40		50	25	50	460
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. წაგომარი	26.11.08.030	78		100	50	50	930
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. შრომა	26.02.15.071	70		50	25	50	500
4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დაბა წასაკირალი	26.29.11.011	31		30	15	50	300
5	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი **	დაბა ურეკი	26.28.18.115	30		450	220	50	4 355
6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი **	დაბა ურეკი	26.28.18.185	11		75	40	50	735
7	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი **	დაბა ურეკი	26.28.18.191	104		920	460	50	9 200
8	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი **	დაბა ურეკი	26.28.18.007	24		250	125	50	2 500
9	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ.წატაწები	26.01.84.051	48		40	20	50	400
10	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. წატაწები, შეკვეთილი	26.01.45.440	286		2 000	1 000	50	20 000
11	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. წატაწები, შეკვეთილი	26.01.48.159	318		1 880	940	50	18 800
12	მაღაზია	სოფ. სილაური	26.09.18.002	273	216	270	135	50	2 700
13	პურის საცხობი	სოფ. ბახვი	26.23.18.014	216	46	52	30	50	520
14	მაღაზია	სოფ. შემოქმედი	26.18.15.009	83	41	165	85	50	1 630
15	სარიტუალო სახლი	სოფ. წატაწები	26.01.84.036	1134	722	2 830	1 420	50	28 224
16	უწიერმაღის შენობა	დაბა ლაითური	26.25.13.015	977	1312	2 600	1 300	50	26 000

** - აღნიშნული მიწის ნაკვეთები შესაძლებელია გამოყენებული იქნას დაბა ურეკის განაშენიანების გენერალური გეგმის შესაბამისად ინფრასტრუქტურული კომუ-ნიკაციების მოწყობისათვის.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

* დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
* „ბე"-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
* მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
* პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
* ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
* სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირისშემთხვევაში);

* "აუქციონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 %-ზე ნაკლებია;
"
* აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

* საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

* „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205;
"
* "დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიაში"; მისამართი:
ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა."
* "აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა,
2015 წლის **17 თებერვლიდან 18 მარტის 12 სთ-მდე."**
* აუქციონი ჩატარდება **2015 წლის 18 მარტს, 14 სთ-ზე** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში.
* "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრი-ვატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია"

ტელ: 595 906 305, 599 33 32 23, 599 70 47 70."

ვკითხოთ გვირილებს

ერთი ასეთი ამბავი მოვისმინე: კაცი, სახელად ქართლოსი, სახლში იყო, როცა თავი შეუძლოდ იგრძნო, თუმცა ვერ გაეგო, კონკრეტულად რა აწუხებდა... ამიტომაც იფიქრა, რომ მალე გაუვლიდა და ექიმთან არ წასულა... რამდენიმე კვირაში გულის შეტევით გარდაიცვალა ქართლოსი...

მორალის წერას და შემდეგ ამ დაწერილი მორალის სხვებისთვის წაკითხვას ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ არსებობს რაღაც ჭეშმარიტებები, რომლებზედაც არავინ საუბრობს, რადგან, ვფიქრობთ, რომ ეს ისედაც ნათელია, თუმცა არის სიტუაციები, როცა ვხვდებით, რომ ნათელი არაფერია და, პირიქით, საკმაოდ ბნელა...

სადაც უნდა მოხვდეთ, განსაკუთრებით სამარშრუტო ტაქსებში, მოისმენთ საუბარს იმაზე, თუ რამდენი პრობლემა აქვს ხალხს, მაგრამ მთავარი, ჩემი აზრით, სწორედ რომ პრობლემის დანახვაა და, პირველ რიგში, მისი გააზრება, როგორც ნამდვილად არსებული და გადასაჭრელი, თუმცა თუ პრობლემა არასწორად დაისვა, გადაჭრის გზებიც ისეთივე აბსურდული და უშედეგო იქნება, როგორც პაციენტის არასწორი მკურნალობა... ჰოდა, რადგან მაგალითებით საუბარი უფრო თვალსაჩინოს ხდის თემას, მოდით, ყველაზე მნიშვნელოვანს შევეხოთ, თემას, რომელიც აიტაცა საზოგადოებამ, ტელევიზიებმა, სოციალურმა ქსელებმა... ვიდეო იმის შესახებ, თუ როგორ აყენებს ახალგაზრდა ქალი პატრულს შეურაცხყოფას, მაგრამ რა არის აქ პრობლემა? არის აქ პრობლემა თავად ეს ქალი? ჩვენ ვიტყვით, რომ დიახ, ეს ქალი თავისთავად წარმოადგენს პოტენციურ პრობლემას, თუმცა ეს არის ის პრობლემა, რომლის გამოსწორებაზეც ერმა უნდა იფიქროს... არის თუ არა პრობლემა, ამ ქალის ლაპარაკის მანერა? ჩვენი მხრიდან ამაზე დავა აბსურდულად მიმაჩნია, საუბრის, ჩაცმის და სხვა მსგავს მანერებს ჩვენით ვირჩევთ და ამ მხრივ თავისუფალი ვართ... არის თუ არა პრობლემა ის, თუ საიდან ან ვისგან იშოვა აღნიშნულმა ქალმა ფული... ეს არ არის „საზოგადო ჭირი“, რომელზე საუბარიც უკეთესს გაგვხდის... ერთი სიტყვით, თუ კი დავფიქრდებით, ეს ქალი საერთოდ არ წარმოადგენს პრობლემას და მასზე გამუდმებული საუბარი საზოგადოების გართობის საგანი უფრო გამხდარა, ვიდრე პრობლემაზე ფიქრი... და მაშინ, რა არის პრობლემა? ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც მე დავინახე, არის პატრულის თანამშრომელი, იგი თავად აცხადებს, რომ გადადგა, თუმცა მომხდარი ფაქტიდან ორი დღის შემდეგ აღადგინეს ძველ პოზიციაზე... და თქვენ იკითხავთ, რატომ? ზოგადად, საზოგადოება უნდა იყოს ყველაზე დიდი გაერთიანება, თუ გინდ დავარქვათ ალიანსი, რომელსაც აქვს დიდი ძალაუფლება, მაგრამ თუკი ეს საზოგადოება შედგება შეშინებული, შეურაცხყოფილი, დამუნჯებული ადამიანებისგან, ოცნება ქვეყნის გაბრწყინებაზე ისეთივე ფუჭი იქნება, როგორც ზოგადად ჩვენი ოცნებები ძილის წინ... კიდევ იცით, რა მიმაჩნია პრობლემად? ყველა ტელევიზიის რეიტინგული გადაცემები, რომლებიც სტუმრად იწვევენ ქალს, რომელზედაც ზემოთ ვსაუბრობდი... მედია რომ მეოთხე ხელისუფლებად არის მიჩნეული, ყველამ იცის, ჰოდა, ჩვენ ეს მეოთხე ხელისუფლება რას გვთავაზობს? პირდაპირ ეთერში ამ ქალის ცრემლებს, ქალისას, რომელიც ბოდიშს იხდის და ტირის და ჩვენ, რათქმა უნდა, გვეცოდება ატირებული.... ეკრანზე თვალმიშტერებულები ვუყურებთ და ვამბობთ: შეეშვან ეს ჟურნალისტები, ხომ ხედავენ, ტირის... აზრად არავის მოსვლია, ეკითხათ, აღადგინეს პატრულის ის თანამშრომელი? დაისაჯა ვინმე ამ დანაშაულის გამო? ტელეფონის ერთი ზარით კვლავ წყდება ჯარიმის დაწერა-არდაწერის პრობლემა? თუმცა იკითხეს, გაკეთებული აქვს თუ არა ამ ქალბატონს ტუჩი ან პლასტიკური ოპერაცია ცხვირზე... ასეთი უამრავი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი, მაგრამ ეს ცხელია, ცხელი ამბავია, რომელიც არ განელთბილდა... "მადე ინ ტელავი" აქტუალობას არ კარგავს, თუმცა მოეთხოვება თუ არა პასუხი ვინმეს ამ ყველაფრის გამო, აღარავის აინტერესებს... ჰოდა, ის ქართლოსი, დასაწყისში რომ გიყვებოდით, იმიტომ მოკვდა, რომ ეგონა, არაფერი სჭირდა, მაგრამ გული რომ გაუჩერდა, ექიმი რაღას უშველიდა... ჩვენ დავსხდეთ და გვირილას დავაცალოთ თეთრი ფურცლები: პრობლემაა, არ არის პრობლემა, პრობლემაა, არ არის პრობლემა...

ხატია ჭანიშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მე-4 კურსის სტუდენტი

სკანვორდი



ფინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ქართველი მსახიობი კოტე დაუშვილი; ჯილდო კინემატოგრაფში – ოსკარი; აშშ-ს პრეზიდენტი (1929-33 წწ) – ტრუმენი; სატრანსპორტო საშუალება – მეტრო; ნაწარმოების ნაწილი – კარი; მდინარე დასავლეთ საქართველოში – რიონი; იგივეა, რაც ბაჭია – ბაცაცი; საწერი საშუალება – ცარცი; პაწაწინა ყვავილი – ია; საოჯახო ხელსაწყო – უთო; სავედრებელი ან სამადლობელი ლოცვა – პარაკლისი; ა. ბუკიას ოპერა – არსენა; მდინარე პარიზში – სენა; სახელმწიფო ბალტიისპირეთში – ესტონეთი; ჯილდო – პრიზი; მემარცხენე – ცაცია; ბულბულის გალობა – ტია; ... არმსტრონგი – ლუი; პუშკინის გმირი – რუსლანი; ელექტროხელსაწყო – რესივერი; სააგენტო – იფრინდა; პატარა ნაკადული – რუ; ... მესი – ლეო; ტბა საქართველოში – შაორი; ქალაქი თურქეთში – ტრაპიზონი; კედლის თარო – სტელაჟი; ჩაის სახეობა – ლაო; მაღალკალორიული ცხიმი – კარაქი; განფეტის სახეობა – ირისი; მუსიკალური ჯგუფი – აეროსმიტი; ტბა თბილისში – ლისი; ღვაწლი – ამაგი; მზის ღმერთი – რა; ტარაბუა – რეტი; ნოტი – ლა; ხის ვედრო – სათლი; ყველაზე წყალუხვი მდინარე – ამაზონი; მაშველი სიგნალი – სოს; ჩიტი ძველქართულად – სირი; ზიარება – ევქარისტია; ამოდი შემოკლებით – ამო; ტანსაცმელი – სამოსი.

ვერცხლის მოყვარე ფირალი დათულია

ენვერ გოგუაძე

დასაწყისი იხ. ალიონი №5,6 2015 წელი.

შეიძრა ქვეყანა დათულიეს თარეშით, ბოლოს მაინც ღალატის წყალობით დაუგეს „ირენჭკას მახე“. ქალი გარიეს საქმეში, დაბა ლანჩხუთის სოფელ ორაგვეში ერთი „ბურძგლაიას ქალი“ ცხოვრობდა. მშვენიერი შესახედავი და საშინელი ზნისა. ბურძგლას ქალს ადრე სისონა უყვარდა, მარა დათულიასაც უყურებდა „განდაგან“. დათულიე შეხედულად სჯობდა სისონას, მაღალი იყო, ლამაზი და შავგრემანი, ვინ იცის, იქნებ „ქალის უკურნებელი სენი“ ამ ბურძგლამ დამართა სისონა დარჩიას და რიკაპის ქვეყანაში აქნია პირი. დათულიეს დანახვა ოცნებაშიც ბურძგლავდა ბურძგლას და მისი დაუფლების სურილი არ აოკებდა. სისონას სიყვარულის „გამეისობით“ ბურძგლას ქალი ოზურგეთის ციხეში შეამწყვდიეს. ამ ციხეში მაშინ დათულიეც ყოფილაო დაპატიმრებული. დათულიასთან საკანში ხუნტრუცის სურვილმა ასტეხა ტანში აშარი დედაკაცი. მოდარაჯე სტრაჟას უთხრა: დათულიასთან თუ შემიშობ „თავს დაგანებებ, ერთი ღამით შენი ვიქნებიო, ბურძგლამ დათულიე იშონა-დათულიამ ბურძგლაც მოსინჯა და ციხიდან გაიქცა კიდეც. მერე ციხიდან გამოშვებული ბურძგლა „დრო და ჟამის შესაფერად“ ხვდებოდა ხან ტყეში, ხან ღრეში. ხან საიდუმლო სამალავში“ დათულიას. ეს ამბავი გაიხსენა დათულიასგან მრავალგზის ჭირვარამმოგვრილმა ოზურგეთელმა დიდვაჭარმა ჩხაიძემ. ბურძგლას ახლა დათულიეც მოჰყირჭებოდა და ჩხაიძის ფულები შეჰყვარებოდა. ჩხაიძე „ეშმაკობაში“ სჭარბობდა ბურძგლას, მხარზე ხელი გადაუსვა და უჩურჩულა: „დათულიე მაშოვნიე და ჩემს თავს ქმრად გაშოვნიებო“. დაეთანხმა ბურძგლა. ჩხაიძე რაში გამოადგებოდა მარა მისი ფულები ძალიან საქმეს უზამდა, გაიგო დათულიეს ადგილსამყოფელი, სოფელ აკეთში ითევდა ღამეს, გაღარიბებული აზნაურის ვარდენა მგელაძისას. ბურძგლამ ადვილად მიაგნო დათაიას. მათი ხუნტრუცის შესახებ ფირალებმა ყველაფერი იცოდნენ და ბურძგლას ვინ დაუშლიდა დათულიასთან მისვლას. ღამე მასთან დაჰყო და დილით სამომავლო ქმარ ვაჭარ ჩხაიძეს აცნობა: „სანამ გვიან არ არის, თავზე დაესხით დათულია მიქელაიშვილს, სოფელ აკეთშია ვარდენა მგელაძისასო“. ჩხაიძე ოზურგეთში გაფრინდა „ვეზდ ნაჩალნიკის“ მოადგილე ჯასულ დადეშქელიანთან.

დადეშქელიანმა ბათუმში აფრინა „ქაღალდი“ ბათუმის სტრაჟნიკთა ურიადნიკთან - აბდუშელიშვილთან. „წამოვიდნენ ფუტკარივით“. ბურძგლას გაფრთხილებული ჰყავდა დადეშქელიანიც და აბდუშელაშვილიც „პოლი აქ ამოტეხილი და იქიდან გაძვრება, ყურადღებით გააყოლეთ თვალიო“. დაუშინეს ტყვიები მგელაძის სახლს. ვარდენა მგელაძე „იმინუჩი“ გაათავეს და მისი ძმაც ზედ მიაყოლეს. გამოიჭრა გარეთ „პოლისქვეშეთიდან“ დათულიე. ზორბა იყო და სისონას სიმარდე აკლდა. მარცხენა თვალში „არტყა“ აბდუშელიშვილის სტრაჟნიკმა ტყვია. მაინც გაიწია ამ სტრაჟნიკის გასათავებლად „თხემიდან ტერფამდე“ იარაღში ჩამჯდარმა, მაგრამ მეორე სტრაჟნიკმა მიუსწრო და თავი მახვილით გაუჩეხა. იმარჯვა სურგულაძესთან მყოფმა მეორე ფირალმა, მელექედურელმა ცხომელიძემ, ამჟამად გაექცა სიკვდილს, შემდეგ თავისი ფეხით გამოცხადდა მაზრის უფროსთან და ხელისუფლებას შემოურიგდა. დათულია მიქელაიშვილის სიკვდილით წერტილი დაესვა გურიაში ამბოხი სულით ქედდაუდრეკელ ფირალთა თარეშს“. შემდგომში მათი ადგილი „სენსუზებმა“ - კომუნისტების გარეშე მოთარეშე მძარცველებმა და კომიტეტის ნების აღმასრულებელმა ტერორისტებმა, დათიკო შევარდნაძემ, კოკია მამულაიშვილმა, სიმონა დოლიძემ და მისთანებმა დაიმკვიდრეს. 1882 წლის 5 იანვარს გაზ. „კავკაზში“ №1 გამოქვეყნებულ იქნა ერთი „უცნობი“ და უგვარსახელო გურულის კორესპონდეცია, გურულ ფირალთა როგორც „ბუნებით მეამბოხეთა“ შესახებ: ხსენებული კორესპონდენტი აღნიშნავს: „გურიაში, მუდმივ ავაზაკთა ბრბოს მოსასპობად საჭიროა საერთო გამუდმებული ძალის ხმარება, ყველა მცხოვრებთა და განსაკუთრებით თავადაზნაურთა, როგორც მოწინავე წოდებისა, აქვე საჭიროდ მიგვაჩნია ნათლად ავხსნათ მიზეზი იმისა, თუ რა ბადებს გურიაში ავაზაკებს, ანუ ფირალებს, ვინ არჩენს, ან ვინ აძლევს მათ თავშესაფარ ბინას, რა მიზეზი არის, რომ ახლად შემოერთებული ბათომის ოლქი მყუდროებითა და მშვიდობიანობით ცხოვრობს, ხოლო ოზურგეთის მაზრა, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც მოქალაქეობრივი ცხოვრება დაიწყო, ვერ განთავისუფლებულა ავაზაკთა ბრბოებისაგან. ეს (საზიზღარი გარემოება) თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულა გურიაში. ამ სტრიქონების დამწერთ თვით გურული ვარ და, რასაკვილველია, მე უკეთ ვიცი შინაგანი მდგომარეობა ჩემთა თანამოძმეთა, ამისათვის გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ ფირალობის გაჩენა გურიაში აიხსნება გურულების ზარმაცობით.

შრომას უჩვეური და სიკოხტავის მიმდევარი გურული ეძებს უფრო ადვილად და უშრომოდ თავის რჩენას და ამის გამო არ ზოგავს თავს და ვარდება ათასნაირ დანაშაულობაში, რის გამოც იგი მსხვერპლია მართლმსაჯულობისა, მაგრამ ამ დროს დამნაშავე გარბის სასჯელის თავიდან ასაცილებლად, მას უერთდებიან სატუსაღოდან გაქცეულები და გამოძიების ქვეშ მყოფნი, რომლებიც თავდებში არიან გამოშვებულნი და მსწრაფლ გასროლის იარაღებით შეჭურვილები აშკარად იწყებენ სოფელ-სოფელ ძარცვა-გლეჯას და მცხოვრებლებსაც ძლიერ აწუხებენ მრავალგვარი უბედურების მიყენებით, თუმცა მცხოვრებნი მაინც არ სდევნიან მათ, რადგან ცემა და ღალატი ავაზაკებისა დიდ სირცხვილად მიაჩნიათ“.

(გაგრძელება იქნება)

ერთად გადავარჩინოთ დედამიწა

ხალხური ტრადიციის თანახმად, 15 თებერვალს, ღამით, თითქმის ყველა სახლის ეზოში, ან გზაზე, ჭიშკრის წინ, ინთება ჭიაკოკონა. ირგვლივ ისმის მხიარული შეძახილები, სიცილ-ხარხარი, სიმღერა...

დიახ, ჩვენ ვილხენთ, დროს ლაღად ვატარებთ; იმაზე კი არავინ ვფიქრობთ, რა ტკივილს ვაყენებთ ამ დღეს ჩვენს მაცოცხლებელ დედა-ბუნებას. ადამიანები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან ბუნების განადგურებაში -ცდილობენ, რაც შეიძლება დიდი ჭიაკოკონა დაანთონ და ამისათვის ხშირად მანქანის ძველ საბურავებს, პლასტმასის ნივთებს, რეზინის ნაკეთობებს წვავენ. ამ დროს ცეცხლის ალი ზეცას წვდება და ასე მგონია, არა მხოლოდ ცეცხლის ალი, არამედ ჩვენი მწვანე მეგობრების, „სამყაროს ფილტვების“, ხეების ვედრებაც ზეცისაკენ იწევს – გვიშველეთ, გადაგვარჩინეთ – ევედრებიან არსთა განმრიგეს.

ქრება ჭიაკოკონა და რჩება ნახევრად შეტრუსული შიშველი ხეები და მაღლა აწვდილი მოცახცახე ტოტებით, შავად გამურული ნაძვები, გულდათუთქული დედამიწა...

დამძიმებულ ჰაერში კიდევ დიდხანს ტრიალებს დამწვარი რეზინის ავი „სურნელი“, ნიავის ყოველ ჩამოქროლვაზე თითქოს იღვიძებს შავი ფერფლი, ძალას იკრებს, რაღაც საშინელ ფორმებს ღებულობს და ისევ ეხვევა ხეებს, ბუჩქებს, უკვე აყვავებულ ყოჩივარდებს თუ ნარცისებს...



ᲫᲐᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲬᲧᲝᲡᲜᲔᲑᲝ,
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲝ!

ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲗᲣ ᲛᲘᲜᲓᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲕᲠᲘᲡ,
ᲗᲣ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲐ-ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲗ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ
ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡᲒᲐᲜ.
ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲗᲣ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲗ, ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ,
ᲐᲛ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ.
ᲘᲗᲮᲝᲕᲔ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐ!

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ

ინდურმა Tata-m Land Rover diskoveri sport-ის ბაზაზე შეიძლება საბიუჯეტო ყველგანმავალი გამოუშვას

ინდური კონცერნი Tata, რომელიც წარმოადგენს Land Rover-ის კომპანიის მფლობელს, მზად არის ბაზარზე გამოუშვას ყველგანმავალი Discovery Sport-ის ბაზაზე. ამის შესახებ იტყობინება გამომცემლობა Autocar India.

ახალი მოდელი, რომლის სახელწოდება ჯერჯერობით უცნობია, შექმნილია Discovery Sport-ის შასზე, მაგრამ ინდური ვერსია გამარტივებული იქნება ექსტერიერისა და ინტერიერის საკუთარი დიზაინით. მასში განთავსდება ფიატის ტურბოდიზელი Multijet-ი. ამ აგრეგატებს ადგილობრივი წარმოების სიმძლავრით გამოუშვებს Tata და Fiat-ი.

ინდური პრესის ინფორმაციით, ახალი ავტომობილის ევროპის ბაზარზე გატანას Tata არ გეგმავს, რათა არასასურველი კონკურენცია არ შეუქმნას ორიგინალ Discovery Sport-ს.

ახალი აუდი R8 – უკვე გაგაფხულგე

მარტის დასაწყისში ჟენევის ავტოსალონში ახალი აუდი R8 უნდა აჩვენონ

აუდის მარკის მთავარი ავტომობილი ჟენევის ავტოსალონში გახდება მეორე თაობის სუპერკარი R8, – იტყობინება ბრიტანული გამომცემლობა უტო სქსპრეს-ი.

გერმანელები დიდ იმედებს ამყარებდნენ პირველი თაობის ახალ მოდელზე R8, რომელიც ნაჩვენები იქნა 2007 წელს და მასზე მოთხოვნამ ყველაზე თამამ პროგნოზებსაც კი გაუსწრო.

ახალ R8-ს ტექნიკურ თავისებურებებზე მსჯელობა ჯერჯერობით ადრეა, Audi -ში უარს აცხადებენ საიდუმლოების გამხელაზე პრემიერამდე. მაგრამ არის წინანადებები, რომ ღგ გახდება არა მარტო სუპერკარი არამედ ჰიბრიდული სუპერკარი ბენზინის ძრავზეც და ელექტრონულ აკუმულატორებზეც. ეს უკანასკნელი დაგროვებულ ენერგიას დახარჯავს როგორც „მწვანე რეჟიმში“ მუშაობისას ეკოლოგიურად სუფთა ზონებში, ასევე მაღალი სიჩქარით მოძრაობის დროს.

ძალიან დიდ ინტერესს იწვევს თვით ბენზინის ძრავები V8 და V10. დაახლოებით 4,2-ლიტრიანი V8 განავითარებს 450 ცხენის ძალას, ხოლო 5,5-ლიტრიანი V10 – 570 ცხენის ძალას. ამასთან აქ საწვავის ხარჯვისას ყველაფერი რიგზე იქნება – დაბალი სიჩქარით რეჟიმში მოძრაობისას ძრავები შეიძენენ ცილინდრების ნახევრად გამორთვის ფუნქციას.

„უაირას“ სახელწოდების ავტომობილის ყველა ეკზემპლარი გაიყიდა

კომპანია Pagani-მ განაცხადა სუპერკარ უაყრა-ს მთელი ტირაჟის გაყიდვის შესახებ საერთო ღირებულებით 2 მილიონ დოლარამდე. ამის შესახებ იუწყება GT Spirit -ის შიდა წყაროები. Pagani Huayra-ს გამოშვება შეზღუდულია 100 ეგზემპლარამდე - ეს ძრავების კომპანიისა და Mercedes-Benz AMG ტიუნინგ-ატელიეს შეთანხმების შედეგია. ამ დროისთვის უცნობია როდის დამთავრდება ახალი მანქანების გამოშვება.

Pagani Huayra-ს აქვს 6,0-ლიტრიანი ტურბოძრავი V13, რომელიც ავითარებს 750-დან 1000 ცხენის ძალამდე. სუპერმარკარი 3, 3 წამში ავითარებს 100 კმ/სთ სიჩქარეს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი შეადგენს 370 კმ/სთ-ს. Pagani Huayra თავისი სახელწოდება მიიღო უაირის – ერთ-ერთი ამერიკული ტომის ენაზე ქარის ღმერთის საპატივცემულოდ.

დავძენთ, რომ არაოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის გაზაფხულზე კომპანია აგანი გამოუშვებს როდსტერის ძარიან „უაირებს.“

რონალდუ მიიჩნიეს საუკეთესო მოთამაშედ ინგლისის პრემიერ-ლიგის ისტორიაში

„რეალის“ პორტუგალიელი ფორვარდი კრისტიანუ რონალდუ აღიარეს საუკეთესო ფეხბურთელად ინგლისის პრემიერ-ლიგის ისტორიაში – იტყობინება „დეილი მაილი“.

ფეხბურთელმა სერიოზული გამარჯვება მოიპოვა და უკან დამჯერებლად მოიტოვა ისეთი მოთამაშეები, როგორიცაა: ტიერი ანრი, რაიან გიგზი, ალან შირერი და სხვები. ინგლისში ის გამოდიოდა 2003-დან 2009 წლის ჩათვლით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ რიგებში. მის აქტივშია ქვეყნის ჩემპიონის სამი ტიტული, გამარჯვებები თასზე და სუპერთასზე, ორჯერ – ლიგის თასი, აგრეთვე მოგებული აქვს 2007/08 სეზონის ჩემპიონთა ლიგა და 2008 წლის მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი. ამავე დროს 2008 წელს მან მიიღო „ოქროს ბურთი“ და „ოქროს ბუცი“.

საუკეთესო მოთამაშეები ინგლისის პრემიერ-ლიგაში გულშემატკივართა ვერსიით:

1) კრისტიანუ რონალდუ („მანჩესტერ იუნაიტედი“) 177 ხმა; 2) ტიერი ანრი („არსენალი“– 133; 3) რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი) – 95; 4) ალან შირერი („ბლეკბერნი“, „ნიუკასლი“) – 92; 5) ერიკ კანტონა („მანჩესტერ იუნაიტედი“) – 89, 6) სტივენ ჯერალდი („ლივერპული“) – 77; 7) დენის ბერკამპი („არსენალი“) – 40; 8) ჯანფრანკო ძოლა („ჩელსი“) – 24; 9) როი კინი („ნოტინგემ ფორესტი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ – 14; 10) პატრიკ ვიეირა („არსენალი“, „მანჩესტერ სიტი“) – 6.

მეორე შანსი: ჯენიფერ ლოპესი კასპერ სმარტის დაუბრუნდა

45 წლის ჯენიფერ ლოპესი გასულ ხუთშაბათს ამერიკელი მომღერლის ნიკა ჯონაცას საღამოზე თავის ძველ შეყვარებულთან 27 წლის კასპერ სმარტისთან ერთად დაინახეს. რამდენიმე დღის შემდეგ წყვილი „გრემის“ პრემიის ცერემონიალზე გამოჩნდა, რის შემდეგაც დეი და კასპერი ერთი მანქანით გაემგზავრნენ. ამიტომ აღარავისთვის სიურპრიზს აღარ წარმოადგენდა, რომ ლოპესი და სმარტი ხელახლა შეამჩნიეს ერთად. იმ დღეებში ჯენიფერი გადაიღეს პაპარაცებმა ლოს-ანჟელესის აეროპორტში. მის შემდეგ, აეროპორტის კარებში მაშინვე შევიდა ჯენიფერის ექს-ბოიფრენდი.

შეგახსენებთ, რომ ჯენიფერ ლოპესი და სმარტი შეერთდნენ 2014 წლის ივლისში, რომანის შემდეგ, რომელიც გაგრძელდა ორწელიწადნახევარს. გაყრის მიზეზი გახდა კასპერის აღიარება, რომ მან უღალატა თავის საყვარელს. როგორც ჩანს, ბოიფრენდმა ახლა პატიება სთხოვა თავის საყვარელს.

ფეისბუკიდან

„თეატრი ჩემი სახლია“

მედეა თოდრაძე თეატრში მუშაობს 2006 წლიდან. გალობს ბოხვაურის წმ. სოფიას ტაძარში. შეკითხვას, რა არის მისთვის თეატრი, ასე პასუხობს: თეატრი ჩემი სახლია, აქ მყავს მეგობრები, ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანები, აქ არის ჩემი სულიერი და რეალური საზრდო, მის გარეშე ვერ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება.“

მედი ყოველთვის არის იქ, სადაც თეატრს სჭირდება. ამ ფოტოზე რუსთავის გასტროლის დროს მეგარდერობის ფუნქცია აქვს შეთავსებული. ჰყავს ოთხი შვილი – ქრისტინე, ნიკოლოზი, თორნიკე და ნისიმე. უფროსი, 20 წლის ქრისტინე უმაღლესი სასწავლებლის „ჯორჯიას“ მეორე კურსის სტუდენტია, უმცროსი ქალიშვილი, ნისიმე, კვირიკეთის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელია.

მედი, წარმატებები!

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

16 თებერვალი ორშაბათი	17 თებერვალი სამშაბათი	18 თებერვალი ოთხშაბათი	19 თებერვალი ხუთშაბათი	20 თებერვალი პარასკევი	21 თებერვალი შაბათი	22 თებერვალი კვირა
მზე, ღრუბელი +1+11	მზე, ღრუბელი +1+9	თოვლი -4+2	მზე, -6+2	მცირე თოვლი +1+8	წვიმა +3+8	მზე, +8+14